



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინე ჯანაშვილი

წევრები:

ნანა ედიშერაშვილი - წევრი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი.

ქეთევან სადრაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მაია შამუგია -საზოგადოებრივი მეცნიერებები

მარგარიტა ჯიქია -უცხოური ენები

მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდა

ვერა გუდაძე - ტექნოლოგიები

თამარ ოძელაშვილი -სახელმწიფო ენა

ირინე შარაბიძე - მათემატიკა

გიორგი კოპლატაძე - სპორტი

ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246756247

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა მახუნცეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, მე-6 ქუჩა #1
საფოსტო ინდექსი	6100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	KvMakhuntseti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595 90 92 71

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 27 მაისის MES 1 25 0000581366-ბრძანება
--	---

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2-3 ივლისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის მე-6 ქუჩა #1 (1 შენობა) სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მახუნცეთი (1 შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის მე-6 ქუჩა #1 (1 შენობა)

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის მე-6 ქუჩა #1 (1 შენობა)
---	---	----------------------------------	---------	---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2-3 ივლისს (2025 წლის 27 მაისის MES 1 25 0000581366-ბრძანება).

ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა 11 ექსპერტით, მათ შორის 2 ზოგადი განათლების ხარისხის და 9 საგნობრივი ჯგუფის ექსპერტით.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტების მიერ ადგილზე განხორციელდა შენობის ვიზუალური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

სკოლაში იყო თანამშრომლობის, მზრუნველობის, დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. სკოლის მასწავლებლებთან, დირექციასთან ურთიერთობისას ნათლად ჩანდა მათი პროფესიული კოლეგიალურობა და ეთიკა. ჩანდა, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის მთელი სასკოლო საზოგადოება იყო მობილიზებული და კათედრის წევრთა შორის, ასევე კათედრათა შორის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სკოლისთვის ჩვეული პრაქტიკაა. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის ჯგუფთან თანამშრომლობისთვის, როგორც მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. ავტორიზაციის გუნდს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო მშვიდ და საქმიან გარემოში.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს და დამატებით დოკუმენტაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის შემდეგ, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის

შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ყველა საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი ამოწმებდა საგნობრივ კურიკულუმებს, ხოლო დაწყებითი მიმართულების ექსპერტი აწარმოებდა რევიზიას.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გავესაუბრეთ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის ბოლოს მოხდა შეჯამება და მიგნებების სკოლისათვის გაცნობა.

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში, ამჟამად, სწავლობს 90 მოსწავლე და მუშაობს 25 მასწავლებელი ადმინისტრაციასთან და სხვა პერსონალთან ერთად. სოფლის ისტორიული წარსული, განსაკუთრებული ბუნება და თემის ტურისტული პოტენციალი პირდაპირ არის ასახული სკოლის კულტურაზე. სკოლაში ხორციელდება უამრავი საინტერესო პროექტი და ამ პროექტების განხორციელებისას ეფექტურად თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები და თემის დაინტერესებული წევრები. სკოლაში ხელოვნების მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი ინიციატივით, ისტორიის, საბუნებისმეტყველო, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების და სხვა საგნის პედაგოგებთან ერთად, გეგმავენ სკოლის კედლების თემატურად მოხატვის აქტივობებს. სკოლის ფოიესა და საკლასო ოთახებში შესრულებულია დიდი ფორმატის კედლის ნახატი. ერთ-ერთ ნახატს წარმოადგენს მახუნცეთის ისტორიული თამარის ხიდისა და ადგილობრივი ცნობილი ჩანჩქერის პეიზაჟები, მეორე კედელზე გამოსახულია მსოფლიოს რუკა ქვეყნების ჩამონათვალით და ინგლისურენოვანი სახელწოდებებით, საკლასო ოთახში მთლიანი კედელი



მოხატულია პლანეტების და კოსმოსის სიუჟეტით, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში კედელზე შექმნილია ნახატი წიგნებითა და სიმბოლური ცოდნის გასაღებით, აქვეა მოწყობილი მრგვალი მაგიდა ფერადი პუფებით, რათა კომფორტულ და არაფორმალურ გარემოში მოსწავლეთა ფანტაზიას მეტი გასაქანი მიეცეს. მიუხედავად თითქმის 20 წლის წინანდელი რემონტისა, საოცარი სისუფთავე, წესრიგი და ესთეტიკურად გაფორმებული გარემოა სკოლაში. აღსანიშნავია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში საოცარი წესრიგით დახარისხებული უამრავი პლაკატი და რესურსი, რომელიც შექმნილია მოსწავლეთა ხელით, არის მრავალჯერადი გამოყენების, მაღალი ხარისხითა და მეცნიერული სიზუსტით შესრულებული. ამ სკოლის სწავლების პრაქტიკაში სწავლა სასიამოვნო პროცესად არის ქცეული. მოსწავლეებს ცოდნის შეძენასთან ერთად, უყალიბდებათ დახვეწილი გემოვნება და სილამაზის შეგრძნების უნარი. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში სკოლის გარემოს მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობის ზრდასაც. კედლების მოხატვის პროცესში, არაფორმალურ გარემოში, უფრო ახლო და მეგობრული ურთიერთობები ყალიბდება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. მშობლებიც დიდი ინტერესით არიან ჩართული, ხშირად მონაწილეობენ მოხალისედ საღებავების შეძენასა და თვით მოხატვის პროცესშიც. სკოლაში ასწავლიდა მშვიდობის კორპუსელი მოხალისე ამერიკელი მასწავლებელიც, რომელიც ასევე ჩართული იყო ამ მოხატვის სამუშაოებში. მისი ხელშეწყობით და მშვიდობის კორპუსის გრანტით მოეწყო და აღიჭურვა ტექნიკით ინგლისური ენის კაბინეტიც. სკოლაში ფუნქციონირებს ხელოვნების წრე, არის ხელოვნების ოთახი საოცრად ლამაზი მოსწავლეთა ნამუშევრებით. სკოლის შენობა პირდაპირ მახუნცეთის ჩანჩქერის მიმდებარედ არის და ირგვლივ მოწესრიგებული ტურისტული ინფრასტრუქტურაა. სოფელს ადგილობრივი მაცხოვრებლების გარდა, ყოველდღიურად სტუმრომს უამრავი ტურისტი. მოსწავლეთა ოჯახებიც, ბევრი, ჩართულია ტურისტულ ბიზნესში, რაც კიდევ უფრო ეხმარება მოსწავლეებს სოციალური უნარების განვითარებასა და სამყაროს მრავალფეროვნების ფართოდ აღქმაში. სკოლა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს ფართომასშტაბიანი ღონისძიების - ეთნოლოგიური ფესტივალის გამართვას სკოლის ეზოში, სადაც წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ტრადიციების ამსახველი მასალები, ნახატები, ხელნაკეთი ნივთები და ა. შ. ამ სკოლის პრაქტიკა კარგი მაგალითია, პოზიტიური სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით და სწავლების ორიგინალური მეთოდების გამოყენების კუთხით.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწესებუთი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი



IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შერწყმულ ზედა მახუნცეთის დაწყებით სკოლაში, უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად ადამიანური რესურსი სპორტში, დაყვებითი საფეხურის საგნობრივ ჯგუფში (I-IV), მუსიკასა და ხელოვნებაში, 2026 წლის 18 ივლისამდე, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ	ა) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2026 წლის 18 ივლისამდე, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება ორივე შენობისთვის. (მდგრადობა). ბ) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2026 წლის 18 ივლისამდე უზრუნველყოს

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	დასკვნის მიღება უფლებამოსილი ორგანოსგან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. გ) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან 2026 წლის 18 ივლისამდე, შესაბამისობის გეგმის მიხედვით. დ) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის ეზოს ღობით გამიჯვნა მიმდებარე შენობებისგან 2026 წლის 18 ივლისამდე, შესაბამისობის გეგმის მიხედვით.
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნა, მოაგვაროს პანდუსის და ადაპტირებული სველი წერტილების საკითხი 2027 წლის 18 ივლისამდე, შესაბამისობის გეგმის მიხედვით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		



2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შერწყმულ ზედა მახუნცეთის დაწყებით სკოლაში, უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი სპორტში, დაყვებითი საფეხურის საგნობრივ ჯგუფში (I-IV), მუსიკასა და ხელოვნებაში, 2026 წლის 18 ივლისამდე წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწესებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხური - სასურველია, დაწესებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ. რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხური- კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხური - სკოლას მიეცა რჩევა, სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: სასურველია, რომ დაწესებით საფეხურზე „ჩვენი საქართველო“ 6 კლ. კურიკულუმით გათვალისწინებული



		კომპლექსური დავალება („ვარძია“) და მოსწავლის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალება („ისტორიული სამცხე-ჯავახეთი“ პოსტერი) ერთმანეთის იდენტური იყოს;
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური - სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: სასურველია კურიკულუმებში იყოს ასახული საათების წლიური/სემესტრული/თემატური განაწილება. უმჯობესია, რომ კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი შაბლონი. გეოგრაფიის კურიკულუმებში მიეთითოს მოსწავლეთა რაოდენობები.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მეტად იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახის რესურსები – აპლიკაციები (Google Earth; Map Maker), სქემები, სტატისტიკური მონაცემების ბაზები, ხელსაწყოები (კომპასი, თერმომეტრი, ანემომეტრი, ბარომეტრი,



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ჰიგრომეტრი, ფლიუგერი და ა.შ.), https://nationalgeographic.ge/ ქართულენოვანი ელექტრონული ჟურნალი.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები- რჩევა: სასურველია საგნობრივმა პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშაონ და საზოგადოებრივი კათედრის სხდომაზე დაამტკიცონ მოსწავლეთა მიერ წარსადგენი შემოქმედებითი პროდუქტების – ესე-ს, მოხსენების, პრეზენტაციის, სტატიის, კომიქსის, პოსტერის, ბლოგის, ვლოგის, ვიდეო მიმართვის და ა.შ. შეფასების რუბრიკები.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	საბაზო საფეხურზე VII და IX კლ. ისტორიის დიაგნოსტიკური წერები აისახოს საგნობრივ კურიკულუმში.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია პედაგოგებმა დახვეწონ არსებული შეფასების რუბრიკები. აქტივობების (მოხსენება, პრეზენტაცია, სტატია, კომიქსი, პოსტერი) მიხედვით შექმნან შეფასების რუბრიკები შეფასების კრიტერიუმებით. ელექტრონული რესურსების გამოყენებით შექმნილი პროდუქტები უნდა შეფასდეს ისეთი კრიტერიუმებით, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი ამ ელექტრონული რესურსის გამოყენების მოთხოვნები. ესე-ის გათვალისწინებით მოსწავლეთა შეფასება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენების მიხედვითაც ხდება. საბაზო საფეხურზე მაგ.: მოქალაქეობის 7კლ. „ტოლერანტობის“ საკითხთან დაკავშირებით სამმა მოსწავლემ მეტ-ნაკლებად განსხვავებული PPT პრეზენტაციები წარმოადგინა. სასურველია, რომ მოსწავლეთა მიერ PPT რესურსის მიზანშეწონილად გამოყენებაში მიიღონ შესაბამისი შეფასებაც. ვთქვათ, 10-ბალიანი შეფასებიდან 2 ქულა დაიწეროს PPT შესაძლებლობების მრავალფეროვან გამოყენებაში (2 ქულა – PPT შესაძლებლობების კარგად გამოყენება; 1 ქულა – PPT შესაძლებლობების სუსტად გამოყენება).



2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: გეოგრაფიის დამხმარე ელექტრონულ რესურსად გამოიყენონ https://nationalgeographic.ge/ ქართულენოვანი სტატიები.
---------	--	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: სასურველია კურიკულუმებში იყოს ასახული საათების წლიური/სემესტრული/თემატური განაწილება. უმჯობესია, რომ კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი შაბლონი. გეოგრაფიის კურიკულუმებში მიეთითოს მოსწავლეთა რაოდენობები.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მეტად იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახის რესურსები – აპლიკაციები (Google Earth; Map Maker), სქემები, სტატისტიკური მონაცემების ბაზები, ხელსაწყოები (კომპასი, თერმომეტრი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ჰიგრომეტრი, ფლიუგერი და ა.შ.), https://nationalgeographic.ge/ ქართულენოვანი ელექტრონული ჟურნალი.



2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები- რჩევა: სასურველია საგნობრივმა პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშაონ და საზოგადოებრივი კათედრის სხდომაზე დაამტკიცონ მოსწავლეთა მიერ წარსადგენი შემოქმედიბითი პროდუქტების – ესე-ს, მოხსენების, პრეზენტაციის, სტატიის, კომიქსის, პოსტერის, ბლოგის, ელოგის, ვიდეო მიმართვის და ა.შ. შეფასების რუბრიკები.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია პედაგოგებმა დახვეწონ არსებული შეფასების რუბრიკები. აქტივობების (მოხსენება, პრეზენტაცია, სტატია, კომიქსი, პოსტერი) მიხედვით შექმნან შეფასების რუბრიკები შეფასების კრიტერიუმებით. ელექტრონული რესურსების გამოყენებით შექმნილი პროდუქტები უნდა შეფასდეს ისეთი კრიტერიუმებით, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი ამ ელექტრონული რესურსის გამოყენების მოთხოვნები. ესგ-ის გათვალისწინებით მოსწავლეთა შეფასება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენების მიხედვითაც ხდება.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა: გეოგრაფიის დამხმარე ელექტრონულ რესურსად გამოიყენონ https://nationalgeographic.ge/ ქართულენოვანი სტატიები.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ ეთანხმება საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტს და იზიარებენ მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო ხარვეზები:

ა) **3.1.2.4** სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის შერწყმულ ზედა მახუნცეთის დაწყებით სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი სპორტში, დაყვებითი საფეხურის საგნობრივ ჯგუფში (I-IV), მუსიკასა და ხელოვნებაში.

ბ) **3.4.1.1** სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის ეზოს ნაწილი არ არის გამიჯნული ღობით სკოლის ეზოში არსებული შენობებისგან, სადაც ცხოვრობს მოსახლეობა.

სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან.

გ) **2.2.2.4** სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის შერწყმულ ზედა მახუნცეთის დაწყებით სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი სპორტში, დაყვებითი საფეხურის საგნობრივ ჯგუფში (I-IV), მუსიკასა და ხელოვნებაში.

აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც 2026 წლის 18 ივლისამდე უზრუნველყოფს მათ აღმოფხვრას, ამიტომ კომპონენტი **3.1** , **4.1** და **2.2** **მეტწილ** შესაბამისობაშია, ხოლო **3.5.1.4** ადაპტირებული გარემოს მოწყობას, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს 2027 წლის 18 ივლისამდე, ამიტომ კომპონენტი **3.5** **ნაწილობრივ** შესაბამისობაშია.

ამრიგად, შესაბამისობის გეგმასთან ერთად, ოთხივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა: დაამკვიდროს მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, პოზიტიური, უსაფრთხო სასწავლო გარემო და დიფერენცირებული მიდგომებით, უნივერსალური დიზაინის პრინციპებით სწავლება. პოზიტიური სასწავლო სივრცის შექმნით, ხელი შეუწყოს თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი თაობის აღზრდას. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების პატივისცემა, კულტურული ღირებულებების გათავისება და წარმოჩენა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე კი შეძლოს 21-ე საუკუნის გამოწვევების და კონკურენციასთან გამკლავება.

სკოლის ხედვაა, რომ ის „2032 წლისათვის იქნება ნდობისა და აღიარების მქონე სასწავლო დაწესებულება, რომელიც მოზარდს შესთავაზებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სასწავლო პროცესს.“

სკოლის მისიასა და ხედვაში ასახულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითადი ასპექტები.

ამრიგად, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისიაში გაწერილი პრიორიტეტული აქცენტები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობის შექმნა, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვა და თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს შექმნა ყველასათვის, მოსწავლეების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა, საზოგადოებაში და თემში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება მნიშვნელოვანია.

სკოლა ხელს უწყობს მშობელთა და თემის წევრთა ჩართულობას და განუწყვეტლივ სთავაზობს მათ სასკოლო ინიციატივებს. ეწყობა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, თემის წევრები ჩართული არიან სასკოლო ღონისძიებებში. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს თემსა და საზოგადოებაში. ის არის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოცო-კულტურული სივრცე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, საზოგადოების ჩართულობის მიზნით, ჩაატარა შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან. ესენი იყვნენ: სკოლის თანამშრომლები, მშობლები, მოსწავლეები. გამოკითხვები ჩატარდა პირისპირ ფორმატში, ასევე შეავსეს კითხვარები. მათი ანალიზის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა დაადგინა, როგორც პრობლემები, ასევე სკოლის ძლიერ მხარეებიც. სკოლას აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც პრიორიტეტულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა შემუშავების პროცესში და მათი უკუკავშირის გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე მეტყველებს მათ მიერ შევსებული კითხვარები და მისი ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სკოლის ოფიციალურ ვებ. გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის შესასვლელში საინფორმაციო დაფაზე.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს და აცოცხლებენ მათ ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში. სკოლაში ხორციელდება უამრავი აქტივობა და ღონისძიება, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შორის თანასწორობაზე, ადამიანთა უფლებებზე, გარემოს დაცვაზე და ა. შ. ეს მიმართულებები შეტანილია სადამრიგებლო პროგრამებში და გეგმებში. სკოლის სოციალურ ქსელში აქტიურად შუქდება სასკოლო ღონისძიებები და პროექტები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში. სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების დამატებით მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა გამოკრული სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას, ასევე, განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში, პირველივე შეხვედრისას, მშობლებს აცნობენ სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებებს და ისმენენ მათ მოსაზრებებს აღნიშნულთან დაკავშირებით. სკოლა ითვალისწინებს უკუკავშირის ანალიზის შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ვებ. გვერდი - skolebi.emis.ge
- სკოლის სოციალური გვერდი (FB) [Qvedamaxunceti sajaroskola](https://www.facebook.com/Qvedamaxunceti.sajaroskola)

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 15.19.2005 (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სმართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ)
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს
სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მისი შექმნისა და განხორციელების პროცესში. მეთოდოლოგიის მთავარ ორიენტირად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული პირებისგან, მშობლებისაგან, მოსწავლეებისაგან, მასწავლებლებისაგან ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და უკუკავშირს, რაც გამოიყენება შემდგომი დაგეგმვისათვის. ძლიერი და სუსტი მხარეების

განსაზღვრისთვის გამოყენებულია SWOT- ანალიზის მეთოდი, მიზნები და ამოცანები ჩაშლილია სამი მიმართულებით: აკადემიური საქმიანობა, სასწავლო გარემო და ეფექტიანობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7 წლიან ციკლს და იგი თავსებადია სტანდარტებთან, 2025 წელს სკოლამ შეიმუშავა 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. მასში რეალიზებულია ის მიზნები, რომელიც სკოლამ უნდა შეასრულოს 7 წლიან ციკლში მისიის და ხედვის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე ხდება გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება ახალი პრიორიტეტები და ამის გათვალისწინებით ხდება ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, უკვე განხილული ჰქონდათ 2025-26 წლის სამოქმედო გეგმა. სექტემბრისთვის მასში შეიტანენ ცვლილებებს, საჭიროებიდან გამომდინარე და გააცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს და დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რაც პრიორიტეტულია სკოლისთვის. გაწერილია რეალისტური ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული

ერთეულები. მათი მიღწევა რეალისტურია. იგი შემუშავებულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად და გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სტრატეგიული განვითარების გეგმა,
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია,
- 1 წლიანი სამოქმედო გეგმა
- პედსაბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- ბრძანებები დამტკიცების შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის, ანგარიშვალდებულების და შეფასების მექანიზმებს. ყველა რგოლმა თუ სტრუქტურულმა ერთეულმა ზუსტად იცის, თუ ვისთან და რა პერიოდულობითაა ანგარიშვალდებული. სკოლაში მონიტორინგის საბოლოო შედეგები თავს იყრის დირექტორთან და აისახება წლიურ ანგარიშში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

არსებულ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია თუ ვინ, რა პერიოდულობით არის ანგარიშვალდებული თითოეული მიმართულების შესრულებაზე. ასევე, დეტალურად გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების ვადები და ინდიკატორები. მოცემულ პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა მონიტორინგსა და შეფასებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების წლიური ანგარიშები, მეთოდოლოგიის მიხედვით, დასრულებისთანავე გამოქვეყნდება საჯარო სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში, ასევე, განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე საჯაროდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გააანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქმიანობების განსასაზღვრად. ასევე განისაზღვრება ამ საქმიანობების თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რათა არ აცდნენ საბოლოო მიზანს და ახალი რეალობის გათვალისწინებით შეიტანონ ცვლილებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია.



- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2025-2032 წ.;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-26 სასწ. წელი;
- სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები), სტრატეგიული დაგეგმვის და სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არსებობს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები და სხვა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. ასევე, სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად არის აღწერილი მათი ფუნქციები. ყველა მათგანი სკოლაში მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.



სკოლის დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი.

ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

არასაშტატო ერთეულები - 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 1 ექთანი, 1 ცეცხლფარეში,

25 მასწავლებელი.

სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები: დაწყებითი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა. ქართული და უცხოური ენების კათედრა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებებისა და დებულებების საფუძველზე.

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს სკოლაში, რომელიც მართავს სკოლას და ხელს უწყობს სკოლის უწყვეტ განვითარებას, ყველა მოსწავლისათვის სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხისა და სწავლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით. პედაგოგიური პერსონალი წარმართავს სასწავლო პროცესს მასწავლებლის სტანდარტის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. ზრუნავს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო გარემოს ჰიგიენური პირობების, უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სკოლის შენობისა და ქონების დაცვას, რომელიც ხელის შეწყობი ფაქტორია საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლაში დასაქმებული პირები, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების წევრები ჯგუფები მუშაობენ ურთიერთანამშრომლობის რეჟიმში, კოლეგიურობის



პრინციპით. იკრიბებიან ისინი სამუშაო შეხვედრებს ატარებენ დადგენილი ინსტრუქციების ფარგლებში, თუმცა შესაძლებელია ჩატარდეს დამატებითი სხდომებიც და ადგენენ შესაბამის ოქმებს. გუნდურობის პრინციპის საფუძველზე სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება და პროექტი. ფუნქციების გადანაწილება პოზიტიურ როლს ასრულებს სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში კოლეგიური ორგანოები სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო და საგნობრივი კათედრები სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავენ სამუშაო გეგმებს და საქმიანობას ახორციელებენ ამ გეგმის შესაბამისად. კათედრები მჭიდროდ თამამშრომლობენ ერთმანეთთან, პედ. კოლექტივი მხარს უჭერს თითოეულ წევრს, ხელს უწყობენ მათ კარიერულ წინსვლას. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები წლის ბოლოს კი წარადგენენ ანგარიშებს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სკოლის მრჩეველთა საბჭოსთან. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება როგორც სკოლის დირექტორის, ისე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარდგენილი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
- საშტატო განრიგი
- ბრძანება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად



საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ეყრდნობა იმ რეგულაციებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის პროცესში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, ასევე, ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე). დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ყოველი ცვლილება, რომელიც შედის შინაგანაწესში არაუგვიანეს 5 დღეში ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. სკოლის მიერ წახალისებული და მხარდაჭერილია როგორც თანამშრომელთა, ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითობა და ინოვაციურობა. სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა და შინაგანაწესის შესაბამისად, კონკურსის წესით, ხდება ახალი კადრების მოზიდვა და დასაქმება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

სკოლაში ვაკანტური საათების გაჩენისთანავე კანდიდატის შერჩევის მიზნით, იქმნება საკონკურსო კომისია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის მუშაობის პრინციპია ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა. კადრების შერჩევა ხდება საჯაროობის პრინციპების დაცვით: ვაკანსია ცხადდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ ვებგვერდზე www.teacherjobs.ge, საბუთების შეარჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების



ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. მასწავლებლის შერჩევის შემდგომი ეტაპებიც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ფორმდება შესაბამისი ოქმები. სკოლის პერსონალის პირად საქმეებში არის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ცნობა და დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში მომუშავე პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ვაკანტური პიზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა ითხოვს პირს შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეც. მასწავლებელი და 25 მასწავლებელი, 15 უფროსი, 7 წამყვანი, 3 უსტატუსო მასწავლებელი. ეს მასწავლებლები ასწავლიან შერწყმული სკოლის დაწყებით საფეხურზე. მათგან 1 მასწავლებელი ასწავლის სპორტს და ჭადრაკს, მას აქვს ჭადრაკის მასწავლებლის ტრენინგები გავლილი და შესაბამისი სერტიფიკატი. 2 უსტატუსო მასწავლებელი 2024-25 სასწავლო წელს ასწავლიდა ზედა მახუნცეთის დაწყებით საფეხურზე, სადაც გასულ წელს სწავლობდა 6 მოსწავლე. 2025-26 სასწავლო წელს 3 მოსწავლე გადავიდა მე-5 კლასში და ისინი ივლიან ქვედა მახუნცეთის სკოლაში. ზედა მახუნცეთის დაწყებით საფეხურზე რჩება 3 მოსწავლე: 2 მესამეკლასელი და 1 მეოთხეკლასელი. სკოლის დირექცია მოიაზრებს კლასკომპლექტის შექმნას და აქ დასაქმებულ მასწავლებელთა დატვირთვაც შეიცვლება. მიმდინარე პერიოდში, 3 უსტატუსო მასწავლებელთან გაფორმებულია დროებითი ხელშეკრულება. ისინი დარეგისტრირებული არიან მასწავლებლის გამოცდაზე. სექტემბრისთვის სკოლის დირექცია გეგმავს საგაკვეთილო საათების კანონმდებლობის შესაბამისად გადანაწილებას, საჭიროების შემთხვევაში, ვაკანსიის გამოცხადებას. სპეც/მასწავლებელთან გაფორმებულია პრაქტიკოსი სპეც. მასწავლებლის ხელშეკრულება. დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ვადები 2026 წლის 28 ივლისამდე.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს



საჯარო სკოლა იმართება მონაწილეობისა და გუნდურობის პრინციპის დაცვით. სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 3 მასწავლებელი, 3 მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. სკოლის პერსონალი მაქსიმალურად არის ჩართული სასკოლო პროცესში. მნიშვნელოვანია მათ შორის ურთიერთპატივისცემა, კოლეგიალობა და კომუნიკაცია. გუნდური მუშაობის მაგალითებია სასკოლო სასწავლო გეგმაზე მუშაობა, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ დირექციის წარმომადგენლები და მასწავლებლები. სასწავლო წლის დაწყებამდე შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმას ითანხმებს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები ასევე გუნდურად შეიმუშავენ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან და იქედან გამომდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიას. სკოლაში შექმნილია სხვადასხვა სამუშაო ჯგუფი: კათედრები, პროფესიული განვითარების მხარდაჭერის, სტრუქტურული ერთეულები, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში დანერგილია პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. სასწავლო წლის მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით დასრულებისათვის მოსწავლეები მოტივაციის ამაღლების მიზნით ჯილდოვდებიან სიგელებით. ინფორმაცია სკოლის გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სოციალურ ქსელში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- თანამშრომელთა პირადი საქმე.
- ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან .
- ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან.
- სკოლის პერსონალთა მონაცემები eschool-ის ბაზიდან.
- მადლობის სიგელები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი, რომლის საქმიანობაც რეგულირდება დებულებით. სკოლის კათედრებს აქვს პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილზე დასწრების მასალები, უკუკავშირებით. სკოლის დირექცია ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ განვითარებას. სკოლაში არის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურებს. თანამშრომლობა ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული. საჭიროების დადგენა და უკუკავშირი ხშირად ზეპირი კომენტარია.

სკოლა საკუთარ პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებლის თვითშეფასება. საჭიროების მიხედვით მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს. ეფექტური შეფასებისთვის, სკოლას გეგმაში აქვს ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ჰოლისტურად დაინახავს როგორც სკოლის, ასევე თითოეული პერსონალის საჭიროებებს. ამ მიზნით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და მიზნობრივი შეხვედრებით მოხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა.

ინდიკატორს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად
სკოლაში განუწყვეტლივ ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს ასევე, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს. სკოლის ექთანი უტარებს ინსტრუქტაჟს სკოლის დამლაგებლებს, მიმდინარე წლის მაისში სკოლის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი კვალიფიციური სამსახურის მიერ. სკოლის ბუღალტერი გადის პერიოდულ ტრენინგებს ფინანსურ სიახლეებთან დაკავშირებით და ა. შ.

ინდიკატორს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. მასწავლებლებს მიეწოდებათ სიახლეები და სთავაზობს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებს. სკოლის პედაგოგებმა გაიარეს „ახალი სკოლის მოდელის,, ტრენინგები, ასევე USAID-ის პროექტები. სკოლა გეგმავს მემორანდუმის გაფორმებას ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან.



4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

საჯარო სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. თანამშრომლების ინტეგრაციის მიზნით, პასუხისმგებელი პირები მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, ამატებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებსა და ჩათებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა ახალისებს პერსონალის ინიციატივებს განვითარებასთან დაკავშირებით. თუ მასწავლებელს სურს ტრენინგის გავლა ან კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლის მხრიდან მას აქვს მაქსიმალური ხელშეწყობა. სკოლაში მხარდაჭერილია სკოლის პერსონალის მხრიდან წამოჭრილი ინიციატივები შესაძლებლობის ფარგლებში, მაგალითად, დაფინანსების გამოყოფა ექსკურსიის ტრანსპორტირების მიზნით, ნორჩ მკითხველთა კლუბის მუშაობისთვის ახალი წიგნების შეძენა, სკოლის ადმინისტრაცია მხარს უჭერს პერსონალს სასწავლო რესურსების შეძენისას, გეოგრაფიული რუკები, ქიმიური პრეპარატები, საკანცელარიო მასალები, თვალსაჩინოებები და სხვ. სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის ინიციატივით და სხვადასხვა საგნებთან ინეგრაციის ფარგლებში, ხორციელდება დერეფნების და საკლასო ოთახების კედლების მოხატვა, რასაც საღებავით და რესურსებით უზრუნველყოფს სკოლის დირექცია და მოხალისე მშობლები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მასწავლებელთა სექტორიფიკატები.
- სკოლის პერსონალის განვითარების დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- კითხვარი მასწავლებლებისთვის.
- მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ბრძანება



- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლაში სასწავლო პროცესების მართვა გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დაგეგმვა შემდეგი თანმიმდევრობით: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია, რაც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განხორციელებას გულისხმობს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი. განსაზღვრულია ჯგუფის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის ჯგუფი გეგმავს საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასებასა და რევიზიას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განხორციელე,

შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით. ასევე, სკოლა ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მოსწავლეებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში საშუალება აქვთ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით, სკოლის ბიბლიოთეკის ინიციატივით ტარდება სხვადასხვა აქტივობები და ხორციელდება ღონისძიებების მხარდაჭერა. ბიბლიოთეკაში აქვთ შთაბეჭდილებების წიგნი, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მოსწავლეებს განხორციელებული აქვთ საინტერესო stem პროექტები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლაში გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესების ფარგლებში სკოლას საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული აქვს სტრატეგიული 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა, ხორციელდება ძირითადი პროცესები: კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება

მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება და სხვა.

აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასევე, მკაფიოდ და ნათლად არის გაწერილი შესაბამის დოკუმენტებში კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. შესაბამისად, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის ყველა პირობაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა



არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. იგი გაწერილია შინაგანაწესში. ასევე გაწერილია ვადები და პროცედურები. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია საჯაროდ და გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები
- სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის. ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები კი გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.

შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეშიც. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. გარდა აღნიშნულისა სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის ფარგლებში იხილება საკითხები მშობელთა ინფორმირების შესახებ. სკოლას აქვს საჩივრების განხილვის მარეგულირებელი მექანიზმი. ასევე, პერსონალის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.
- ვებ გვერდზე განთავსებული გასაჩივრების მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ვებგვერდი
- შინაგანაწესი.
- საჩივრების განხილვის მარეგულირებელი მექანიზმი.

- პერსონალის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

საჯარო სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ის დახურულ ჯგუფებს, მესენჯერს TEAMS-ის ჯგუფებს, სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი აზრი დაფიქსირება ყველა საშუალებით. ასევე სკოლა ღიაა პირადი საუბრებისთვის. ამ მხრივ როგორც დირექტორი ასევე დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სრულ მზადყოფნაში არიან. სკოლაში ყოველთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით, რათა ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ერთი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი ასევე არის სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.



აღსანიშნავია, რომ სკოლა მეოთხე კლასის ბოლოს მშობლებს სთავაზობს მათი შვილებისთვის ასარჩევად მინიმუმ 2 უცხო ენას, რომელთაგან არჩევენს აკეთებს მშობელი. ამ ტიპის ჩართულობაც სასკოლო გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანია, რადგან სკოლა მაქსიმალურად იყოს მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხო ენის არჩევის ოქმი,
- მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების კითხვარები
- სკოლის სოციალური ქსელი
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლა უზრუნველყოფს ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. სულ სკოლაში დამონტაჟებულია 10 ვიდეოსათვალითვალო კამერა. მათ შორის გარე პერიმეტრზეც. ამასთან, სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. ასევე, უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული. სკოლის შინაგანაწესით გარეშე პირთა შემოსვლა სკოლაში დაუშვებელია სკოლის დირექციასთან შეუთანხმებლად. შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლების ვიზიტის დრო. დარაჯებისა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირების მიერ მკაცრად კონტროლდება მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის უნებართვოდ დატოვება. ობიექტური მიზეზით, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე სკოლის დატოვება ხდება დირექციის ნებართვით. მოსწავლის გათავისუფლებამდე ინფორმაცია მიეწოდება მშობელს და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ ტოვებს მოსწავლე სკოლას. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი უკავშირდება მშობელს და ადგენს გაცდენის მიზეზს. სკოლაში დადგენილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ისინი სკოლის შიდა და გარე ტერიტორიაზე აკონტროლებენ წესრიგს. მოსწავლეებს ემსახურება სასკოლო 4 ტრანსპორტი, რომელიც ტექნიკურად გამართული და უსაფრთხოა. დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი. შემუშავებულია და შესთანხმებლად გაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (წერილი MES 3 25 0000274936 13/03/2025). სკოლის შენობის ორივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ მიმართა უფლებამოსილ ორგანოს და სპეციალურმა ჯგუფმა უკვე შეამოწმა სკოლის შენობები. უკვე ჩატარდა გარკვეული სამუშაოები, კერძოდ, სკოლის სხვენი დამუშავდა სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ანტისეპტიკური ფხვნილით, რომლის საგარანტიო ვადა გრძელდება 2028 წლის მაისამდე. სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში, არის ცეცხლმაქრები, სახანძრო სტენდი, მანათობელი გასასვლელი ნიშნები, სათადარიგო კარები, საევაკუაციო გეგმა. სკოლა



ელოდება საბოლოო დასკვნას და რეკომენდაციებს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. **სკოლის შენობის ტექნიკური მდგრადობის უსაფრთხოების შესახებ** სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის სახელზე სათანადო ორგანოსთან შუამდგომლობის მიზნით და ელოდება პასუხს (წერილი MES 2 25 0000340661 26/03/2025). აღსანიშნავია, რომ სკოლის ღობე ნაწილობრივ შესაკეთებელია, ასევე, სკოლის ეზო საჭიროებს დამატებით ღობით გამიჯვნას მიმდებარე შენობებთან, რომლებიც ირიცხება სკოლის ბალანსზე მაგრამ ამ შენობებში შესახლებულია ეკომიგრანტების ოჯახები. ამიტომ, მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის აუცილებელია მათი ღობით გამიჯვნა. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ვადები 2026 წლის 18 ივლისამდე

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში არის სამედიცინო მომსახურების სივრცე, კერძოდ ექთნის კაბინეტი. ექთანი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაუწიოს პირველადი დახმარება. მასთან გაფორმებულია შესაბამისი სამუშაო ხელშეკრულება. იგი ზრუნავს ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. ატარებს საუბრებს მოსწავლეებთან ჯანსაღი ცხოვრების წესებსა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. სკოლა ხელმძღვანელობს

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.“ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებენ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. წესრიგის დაცვას ხელს უწყობენ მორიგე მასწავლებლებიც, რომლებიც სასწავლო პროცესის განმავლობაში, სართულებზე აკონტროლებენ წესრიგს. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეწყობა



აგრეთვე სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, პერიოდულად სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები აწყობენ შეხვედრებს მოსწავლეებთან და საუბრობენ მათთან სხვადასხვა საკითხებზე. ასევე, სკოლის დირექციის ინიციატივით, კლასის დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით იმართება შეხვედრები, კლასის საათები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები საჭიროებები და დროულად მოხდეს მათზე რეაგირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოა. სკოლის კედლებზე გამოკრულია მოსწავლეების მიერ დამზადებული პლაკატები და პოსტერები, ტარდება ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ. ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სკოლას აქვს შემუშავებული ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები. სკოლას შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული არის მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი. ამასთან, სკოლის თანამშრომლები ინფორმირებული არიან ძალადობის იდენტიფიცირებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ინფორმაციას მიაწვდიან რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს. სადამრიგებლო საათის ფარგლებშიც დამრიგებელი, მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად, მუშაობს სხვადასხვა მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. სკოლაში ჩატარდა ღონისძიებები მაგ: ბულინგის, მედია წიგნიერების კვირეული და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები შემუშავებული დებულების საფუძველზე. სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში - „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე ზედამხედველობს დირექცია, სანიტარული ნორმების დასაცავად სკოლა პერიოდულად ატარებს სადეზინფექციო სამუშაოებს. სკოლაში სულ არის 3 სველი წერტილი: ცალკე გოგოების-1 ცალკე ბიჭების -1. მასწავლებლებისთვის 1. სკოლაში არსებული სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით და როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. სველი წერტილები აღჭურვილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. ხდება კვანძების ყოველდღიური დასუფთავება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას და სხვა. სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. მესამე პირების მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში განსაზღვრულია არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ: განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა



აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, ასევე განსაზღვრულია მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. კომპიუტერებს გააჩნიათ ანტივირუსული პროგრამა, პროგრამები არის ლიცენზირებული და ხორციელდება პერიოდული განახლება. სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით (დირექტორის მოადგილე), ასევე, რესურსცენტრიდან პერსონალური დაცვის ოფიცერი რეგულარულად თანამშრომლობს სკოლასთან. მის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შემოწმება ძირითადად ხდება მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე და მათზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. მუშავდება რეკომენდაციები, იგეგმება პრევენციული ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი
- პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
- შენობის ტექნიკური პასპორტი
- წერილი საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმებაზე
- ხელშეკრულება სახანძრო უსაფრთხოებაზე
- წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსტან სკოლის შენობის



მდგრადობის შესახებ.

- სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულები;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- ექთნის ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- რეფერირების შედა წესები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები;
- სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ჩატარებული სხვენის დამუშავების ცნობა
- მმართველის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოებაზე
- შესაბამისობის გეგმა
- დარაჯის ხელშეკრულება
- საევაკუაციო გეგმა
- სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალი
- მშობლის თანხმობის ფორმა ინფორმაციის დამუშავებაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლის შენობები 3 კორპუსი ქვედა მახუნცეთში საერთო ფართობით არის 4564 კვ. მ, 6628 კვ. მ მიწის ფართობზე. სკოლას ფართი გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან, სარგებლობის უფლებით. სკოლის შენობა, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი ქვედა მახუნცეთში, არის 2 სართულიანი. გარდა სასწავლო კორპუსისა, სკოლის ბაღანსზე არის ყოფილი სკოლა-ინტერნატის სამსართულიანი ე.წ. საძინებელი კორპუსი და ე.წ. მასწავლებლის სახლის შენობა. ამჟამად, ამ შენობებში ცხოვრობს წლების წინ შესახლებული ეკომიგრანტების 30 ოჯახი. სკოლის შენობა ამ შესახლებული შენობებისგან არ არის გამიჯნული ღობით. შენობაში მცხოვრები ადამიანები, ძირითადად, სარგებლობენ ქუჩის მხრიდან შემოსასვლელით, მაგრამ ერთი ოჯახის ბინის შესასვლელი არის სკოლის ეზოდან. ე.წ. მასწავლებლის სახლში ცხოვრობს 5 ოჯახი, მათ შორის 2 მასწავლებელია. არც ეს შენობა არ არის გამიჯნული სკოლის ეზოსგან. სკოლას ქუჩის მხრიდან და უკან მხარეს აქვს კაპიტალური ღობე, მაგრამ ღობის გარკვეული ნაწილი შესაკეთებელი და შესაცვლელია, ასევე აუცილებელია შესახლებული კორპუსების გამიჯვნა სკოლის ეზოსთან. მოსაგვარებელია ამ შენობების საკუთრების სამართლებრივი მხარე. სკოლას აქვს 2018 წელს გაგზავნილი წერილები აჭარის განათლების მინისტრთან და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან აღნიშნულ პრობლემაზე, მაგრამ დღემდე მოუგვარებელია.



შენობაში, რომელსაც ქვედა მახუნცეთის სკოლა სასწავლო პროცესისთვის იყენებს, ამჟამად სწავლობს სამივე საფეხურის 90 მოსწავლე. შენობაში არის ცენტრალური გათბობა. არის 12 საკლასო ოთახი, დირექციისათვის განკუთვნილი ოთახები, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ინგლისური ენის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი. საკლასო ოთახები სრულადაა აღჭურვილი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, დაფით, კაბინეტებში არის კარადები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორი. კომპიუტერული ტექნიკა ასევე განთავსებულია დირექციაში, სამასწავლებლოში. სულ სკოლაში არის კომპიუტერები, პროექტორი და პრინტერები. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არის სხვადასხვა ქიმიური ჭურჭელი, ქიმიური რეაქტივები, მულაჟები და სხვა თვალსაჩინოებები. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა ხელით დამზადებულია ბევრი შესანიშნავი თვალსაჩინოება-პლაკატი. სკოლაში სააქტო დარბაზში არის ფორტეფიანო, რომელსაც იყენებენ მუსიკის გაკვეთილებზე. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, კალათბურთის ფარი. ფრენბურთის ბადე და შვედური კედელი და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი, რაც მოიცავს როგორც გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკაში წიგნსაცავი და სამკითხველო ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკაში არის ქსელში ჩართული კომპიუტერიც. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას მუდმივად აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი. სკოლაში დასაქმებული პერსონალი პერიოდულად მიმართვას დირექციას საკანცელარიო ნივთების, ჰიგიენური საშუალებების, რესურსების შეძენის თაობაზე, რომელთა საფუძველზე ხდება ინვენტარის შეძენა ან განახლება. აგრეთვე, საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება შემდგომი წლის ბიუჯეტი.

ზედა მახუნცეთის დაწყებითი საფეხურის სასწავლო შენობა 124 კვ.მ განთავსებულია 450 კვ.მ მიწის ფართობზე. შენობა 1 სართულიანია და სწავლობს დაწყებითი საფეხურის 3 მოსწავლე. შენობა მოწესრიგებულია და აღჭურვილია სათანადო სასწავლო რესურსებით. სველი წერტილი არის ეზოში. შენობა თბება შეშის ღუმელებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

საჯარო სკოლაში გარე თუ შიდა სივრცეები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის. სკოლას



გაწერილი აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკასა თუ ლაბორატორიებშიც თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სარგებლობის წესები. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მერხები, სკამები და სხვა მატერიალური რესურსი ყველა მოსწავლისათვის ასაკის შესაბამისად. სკოლაში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებების მომზადების და განხორციელების პროცესში ისინი სარგებლობენ როგორც ინფრასტრუქტურით, ისე სხვადასხვა ინვენტარით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ სპორტული ან სხვა სახის ღონისძიება და გამოიყენონ სკოლაში არსებული სპორტული ინვენტარი. ხოლო სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ კომპიუტერები, პრინტერები და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები. ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად. გარე სტადიონს მოსწავლეები იყენებენ არასასწავლო პერიოდშიც და დაკავებულები არიან სპორტით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

საჯარო სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც მატერიალური რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ყველა წიგნს ენიჭება ნომერი. ბიბლიოთეკაში არის როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა და მეთოდოლოგიური ლიტერატურა. მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ აღნიშნული ბიბლიოთეკით. ასევე, ბიბლიოთეკარი ჩართულია სხვადასხვა სასკოლო პროექტების განხორციელებაში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები რეგულირდება “საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს სარგებლობის წესი, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა. წიგნების გაცემა რეგულირდება მკითხველთა ბარათების საშუალებით. ბიბლიოთეკა აქტიურადაა ჩაბმული სასკოლო სასწავლო პროცესში, სხვადასხვა ღონისძიებებში: ხმამაღლა კითხვის მსოფლიო დღე, დედაენის დღეს, საიუბილეო თარიღებს და სხვ. აქტიურად თანამშრომლობს ნორჩ მკითხველთა კლუბთან და ა. შ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, მხატვრული, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალები. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა განვითარებას, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის გზით. ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება) არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ –



კვირის გარდა 9:00 საათიდან 18:00 საათამდე. სკოლა უზრუნველყოფს ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას მკითხველთა თანასწორუფლებიანობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკაში განხორციელდა ინვენტარიზაცია და მოწესრიგდა კატალოგიზაცია, ბიბლიოთეკა აღჭურვილია ნოუთბუქით და პრინტერით. ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის განახლება ხდება სკოლის დირექციის მიერ ყოველწლიურად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობების ინფრასტრუქტურა იმგვარადაა მოწყობილი, რომ ქმნის ნაწილობრივ ინკლუზიურ გარემოს. საგანმანათლებლო პროცესი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის. სკოლის რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებით, კომპიუტერით. სკოლაში, ამჟამად, არ არის ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, მაგრამ სასკოლო ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ არის ადაპტირებული. სკოლის შენობის უკან შესასვლელში მოწყობილია შენობის პირველ სართულზე შესასვლელი პანდუსი. უახლოეს პერიოდში, სკოლა აპირებს პანდუსის მოწყობას ცენტრალური შესასვლელიდანაც. შენობის პირველ სართულზე ხელმისაწვდომია რესურსოთახი, სამედიცინო ოთახი, სკოლის რეკრეაციული ზონა ტენისის მაგიდით, საკლასო ოთახები, მაგრამ მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის ან ლიფტის უქონლობის გამო, ეტლით მოსარგებლე პირთათვის არ იქნება ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სააქტო დარბაზი. სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების საკითხი, რომლის მოგვარებას გეგმავს 2 წლამდე ვადის განმავლობაში 2027 წლის 18 ივლისამდე.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლაში არსებული სოციო-კულტურული სივრცე, სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, თავისუფალი სივრცეები(ფოიე) ბიბლიოთეკა, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ და განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლა ატარებს პირველკლასელთა მიღების, მეოთხე და მე-12 კლასელებისათვის დამამთავრებელ საზეიმო ღონისძიებას. აღნიშნული ღონისძიებები ტარდება ღია სივრცეშიც. მოსწავლეები აწყობენ ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებებს, აწყობენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. სკოლას გააჩნია ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი და მატერიალური რესურსი. სკოლის ფოიეში იმართება მოსწავლეების ნაშრომების გამოფენები. სკოლის



ეზოს კეთილმოწყობა დაგეგმილია სამომავლოდაც.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შენობის ნახაზი
- ბიბლიოთეკის დებულება
- საინვენტარიზაციო უწყისი
- ძირითადი აქტივები
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება სკოლის საჭიროებებს. სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის სათანადო პარამეტრების კომპიუტერებით, რომლებიც პროგრამულად გამართულია. ეს შესაძლებლობას აძლევს სკოლას სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერებით უზრუნველყოფილია სკოლის დირექცია, საქმისმწარმოებელი, დაწყებითი კლასების დამრიგებელი. სკოლას აქვს ინტერნეტი შეფერხების გარეშე. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოყოფილი თანამშრომელი უზრუნველყოფს სისტემის და კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებას. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც შემდგომში აისახება 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის თანაბრადაა ხელმისაწვდომი IT ლაბორატორია, კომპიუტერებით და სხვა ტექნიკით. მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში აქვთ საშუალება სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში შეასრულონ კომპლექსური დავალებები, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და სასურველი სასწავლო რესურსი. დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ კომპიუტერების არასასწავლო მიზნებისთვის გამოყენება. სკოლა სარგებლოს უკაბელო ინტერნეტით, თუმცა მისი ხარისხი გასაუმჯობესებელია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლაში საქმისწარმოების პროცესი ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს საქმის მწარმოებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი და საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია საქმისწარმოების გამართულ მუშაობაზე. საქმისმწარმოებელი დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემა Eflow- ში ახორციელებს დოკუმენტების ელექტრონულად რეგისტრაციას და აღრიცხვას. საქმისმწარმოებელი იღებს შემოსულ კორესპონდენციას, ამუშავებს მას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად და დანომრილია კალენდარული წლიდან წლამდე გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. წერილები და სამსახურობრივ ბარათები რეგისტრირდება Eflow-ში, რომლებსაც ავტომატურად ენიჭება სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები. იგი არის არქივზე, პერსონალური მონაცემების დაცვასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არის საკადრო, საერთო, შემოსული და გასული დოკუმენტების, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები, რომლებიც დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- #### 2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა
- სკოლის მართვაში გამოიყენება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - Eflow- , eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზა. ასევე, ღია საკომუნიკაციო საშუალებები (Google, office 365.). eSchool-ის სისტემაში ხდება ჩარიცხვა- ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების ასახვა, ხოლო Eflow-ს სისტემაში საქმისმწარმოებელი



ახორციელებს დოკუმენტბრუნვას. eSchool-ში ასევე ასახულია სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაციები. ბაზაშია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ და სკოლის საშტატო განრიგი. ცვლილების შემთხვევაში ელექტრონულად ხდება სამეურვეო საბჭოს წევრის ცვლილების ასახვა და საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ინფორმაციისა და დოკუმენტის მიღება ხდება შესაძლებელია აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე KvMakhuntseti@mes.gov.ge. ვაკანტური თანამდებობი ცხადდება ელექტრონული დასაქმების გვერდზე teacherjobs.ge, სკოლას მომხმარებლის გვერდები აქვს შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია და პირველკლასელთა რეგისტრაციის დროს სკოლა იყენებს ბმულს registration.emis.ge.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში ასახულია: მისამართი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. ასევე თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ელექტრონულ ფოსტას. სკოლა თანამშრომლობს კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებთან, განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის



საინფორმაციო სისტემა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, და აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლა გეგმიურად, კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშებს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, პრემიერმინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ქვეყნდება matsne.gov.ge-ზე. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კი დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის მართვაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების ბმულებიში და მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშის წერილი;
- დირექტორის ანგარიში
- 10 დეკემბრისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიში დირექტორის სამეურვეო საბჭოს
- ჟურნალები დამოწმებული ბეჭდით და ხელმოწერით (მატერიალური)
- სკოლის გაგზავნილი ანგარიშები საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე პრემიერთან, პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარეს თან და საკანონმდებლო მაცნეში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სკოლის ოფიციალურ ვებ. გვერდს, ასევე სკოლის facebook გვერდს. საჭიროების შემთხვევაში, მშობლებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ როგორც მესენჯერს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციას.

სკოლის გვერდებზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები. ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლის წარმატება, აქტივობების ამსახველი ინფორმაცია, პროექტები, პრეზენტაციები, კონფერენციებში მონაწილეობა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მშობელთა შეხვედრებსთვის აქტიურად იყენებენ პირისპირ შეხვედრებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლის მიერ გავრცელებული ყველა სიახლე თუ ინფორმაცია ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებებს. სკოლის საქმის მწარმოებელი შესაბამის გვერდებზე ავრცელებს მხოლოდ გადამოწმებულ ინფორმაციას. სოციალურ ქსელში, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებზე, დახურულ ჯგუფებში სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, განხორციელებული ღონისძიებების, კონკურსების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ არის გადამოწმებული, სწორი და სანდო. მოსწავლის შესახებ სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების შემთხვევაში ხდება მშობლის თანხმობით. სკოლას აქვს მშობელთა თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა სხვადასხვა საშუალებით მიღებულ უკუკავშირს განიხილავს და აანალიზებს, ითვალისწინებენ მოქმედ კანონმდებლობას და პასუხობენ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი და მასზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. Skolebi.emis.ge

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია სკოლას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს შემდეგი ინფორმაცია:

1. მისია, ხედვა, ღირებულებები,
2. სკოლის სტრუქტურა;
3. სტრატეგიული გეგმა;
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. პროგრამები მხარდაჭერის მექანიზმი;
6. ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი
7. ინფრასტრუქტურა
8. ფინანსები
9. ჩარიცხვის პროცედურები
10. გასაჩივრების მექანიზმები
11. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები.

ყველა ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაც მოეთხოვება სკოლას ვებგვერდის საშუალებით, განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე ეტაპობრივად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება, დანართით.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- სკოლის ვებ.გვერდი

- სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს. მას სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის დირექტორი. ბიუჯეტის შემუშავება ხდება წინა წლის ანალიზისა და გამოცდილების მიხედვით. სკოლის ბიუჯეტი შედგება შემოსავლითი და ხარჯვითი ნაწილისაგან. შემოსავლებს წარმოადგენს ვაუჩერულ დაფინანსება, სერთიფიცირებული მასწავლებლის დანამატი, სხვა საბიუჯეტო შემოსავალი. საბიუჯეტო თანხა იხარჯება დასაქმებულთა შრომისა და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, მივლინებებზე, საოფისე ხარჯებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სკოლის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი თანხების ჩარიცხვის ან საანგარიშო პერიოდში თანხის არარსებობის შემთხვევაში სკოლა ახდენს ბიუჯეტის კორექტირებას, რომლის პროექტიც ასევე დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლის ფინანსური რესურსი შესაბამისობაშია სამოქმედო გეგმის ფინანსურ რესურსთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. სკოლა, ფინანსების ეფექტურად მართვის მიზნით, აკონტროლებს საკუთარ შემოსავალს და გასავალს. სკოლის დირექტორი, ყოველწლიურად, 10 დეკემბერს ანგარიშვალდებულების მიზნით სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. წლის განმავლობაში დგება ცვლილების საჭიროება ფაქტობრივი შემოსავლებისა და გასავლების მიხედვით. დირექტორი სისტემატურად ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს და დროულად ახდენს რეაგირებას. სკოლას ჰყავს ბუღალტერი, რომელიც დირექტორთან ერთად ფინანსების გათვალისწინებით შეიმუშავებს ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სკოლას აქვს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა, სკოლის ბუღალტერი არის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის რეგისტრაციასა და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირი. შესყიდვების გეგმაში ცვლილება აისახება ePIAN – ის მოდულში. სკოლის მიერ კონკრეტული საჭიროების შესყიდვა ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული შესყიდვების გეგმის მიხედვით. ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი კორექტირება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება. შესყიდვის განხორციელება ხდება წინასწარი ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლა შესყიდვებს ახდენს შემუშავებული შესყიდვების განხორციელების წესის მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის ბიუჯეტი
- დირექტორის ანგარიში ფინანსურ პროცესებზე;
- დანართი-N1 2025 წლის შესყიდვის გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობა დამტკიცება
- შესყიდვების განხორციელების წესი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას.



სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.

მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე ისარგებლებს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. შესაბამისი ოქმები სადამრიგებლო პორტფოლიოში ინახება.

სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და განთავსებულია სკოლაში მიმდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლის პორტალზე გამოქვეყნებულია „კანონიერი უფლებების დაცვის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის“, „განცხადებისა და საჩივრის განხილვის“ წესები, სკოლის შინაგანაწესი.



მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალორ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწ. ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;



- მშობელთან დასაბუთება ხელშეკრულება;
- შეთანხმება მშობელთან;
- [სკოლის პორტალი](#)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;

შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,



საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით იქმნება კლუბები მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის შიდა ბრძანებები - e-Flow
- სკოლის პორტალი
- სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის დებულება. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს.



ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და მოიკვლევს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი მუდმივად თანამშრომლობს თემში არსებულ საბავშვო ბაღებთან, აგროვებს ინფორმაციას პოტენციურ პირველკლასელთა შესახებ, აცნობს მშობლებსა და ბავშვებს სკოლის სტრუქტურას, ეპატიჟება სასკოლო ღონისძიებებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბავშვო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ტრანზიციას. სკოლა სრულ მზაობას გამოხატავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისა და საფეხურებრივ ტრანზიციების წარმატებით განხორციელებისთვის, სკოლა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა პროფესიულ და სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, მაგალითად, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლიდან გადმოდის, მოსწავლეებს აცნობენ სკოლის გეოგრაფიას, სპეციფიკას, სოფლის ისტორიას და ტრადიციებს. სკოლაში არსებული პოზიტიური და უსაფრთხო გარემო უადვილებს მოსწავლეს სასკოლო საზოგადოების წევრობას პირველივე დღიდანვე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებლისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შეცდომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები შემოქმედებითი, კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრვალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერები ქართულსა და მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე. დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტიკა, პრობლემის აღმოჩენა და



გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.

აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

სკოლას გამოყოფილი აქვს პარასკევი დღე 13-დან 17-საათამდე მშობლებთან საკომუნიკაციოდ. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს ელექტრონული ჟურნალი, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, კლასის კრებებზე, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში იღებენ ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ.

სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. სკოლას აქვს რემედიაციის დებულება. საგნის მასწავლებლები ჩართული არიან სარემედიაციო პროცესში. სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს გაანათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. კანონმდებლობით განსაზღვრულ და სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად ხდება ინდ. გეგმის შედგენა, სასწავლო პროცესის რეგულირება, შეფასება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილია დამრიგებლების მიერ.

სკოლა ჩართულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში. სკოლამ მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტში - “პროექტი ჩემს გაკვეთილზე”, სადაც სკოლას ჰყავს ორი გამარჯვებული. გამარჯვებული მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე ახორციელებენ ორ პროექტს “მე და ჩემი ქვეყანა”, “ჩვენი ბიბლიოთეკა”.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თვითმმართველობის მოსწავლეთა ინიციატივით ჩატარდა ღონისძიება ბუღინგის თემაზე, ქალთა უფლებების დაცვაზე, დავითობაზე. თვითმმართველობის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციაში, გაიმარჯვეს და მათი თხზულებები შეტანილია წიგნში “სიყვარულის სახელით”. არაფორმალური განათლების კუთხით ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები და შეხვედრები მაგ: “ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს”, “აუტიზმის ცნობადობის ამაღლება” და ა.შ.

სკოლაში ფუნქციონირებს ხელოვნების წრე, ხელოვნების საკლასო ოთახში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. ხელოვნების მასწავლებელი მოსწავლეებს საინტერესო აქტივობებს სთავაზობს. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა მოხატეს სკოლის კედლები, რაც სკოლის კულტურის ნაწილად იქცა. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები და პროდუქტები. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების აქტივობებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების ამსახველი ღონისძიებები ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას



ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში მიმდინარე ეტაპზე სწავლობს 90 მოსწავლე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მათი მშობლების უკუკავშირები. ძირითადად იყენებენ ინტერვიუებსა და ფოკუსგუფებს “კლასის საათის”, მშობელთა კრებების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. ელექტრონულ გამოკითხვებზე მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას ხშირად უჭირს რეაგირება, რადგანაც ინტერნეტი ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის მოსახლეობისათვის. ამის გათვალისწინებით ხდება სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი დამტკიცებული ბრძანებით ;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია დამტკიცებული დირექტორის მიერ;
- რემედიაციის დებულება;
- კითხვარი მშობლებისა და მოსწავლეთათვის;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;
- პროექტის ჩემს გაკვეთილზე - პორტფოლიოები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის



სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა ინტენსიურად აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების ვიზიტი და შეხვედრები მოსწავლეებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის ადმინისტრაცია და კლასის დამრიგებლები გამოკითხვით მუდმივად იკვლევდნენ სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენს შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ღონისძიებებს სწავლა სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სამოქალაქო განათლების, მე და საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სოციალური გვერდი;

- მშობელთა კრებების ოქმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას აქვს შემუშავებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. დოკუმენტში აღწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაციები, სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაციები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, სკოლის ვალდებულებები, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაციები.

შემუშავებულია ყოველწლიური ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების სამოქმედო აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აკვირდება პროცესებს და შეიმუშავებს დასკვნებს. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა დასტურდება ოქმით. სკოლას ამჯერად ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე საბაზო საფეხურზე. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც არის პერსონალური კომპიუტერი, რესურსები, მოსწავლის ნამუშევრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებში წარმოდგენილია აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, მასწავლებლებთან გასაუბრებით, სპეც. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით. სპეციალური მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან. შექმნილია ისე ჯგუფი, შემუშავებულია ინტერვენციის გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლის ტრანზიციის რეგულაციები, მოსწავლესთან

მუშაობის განრიგი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდამჭერია კლასის დამრიგებელი, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, თანაკლასელები. მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის გარდა აქტიურადაა ჩართული არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ისგ ჯგუფის გეგმა;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- ალტერნატიული გეგმა;
- სსსმ მოსწავლისადაპტაციის წესი;
- სპეციალური მასწავლებლის განრიგი;
- რესურს-ოთახის სარგებლობის წესი;
- სკოლის ვიზუალური დათალიერება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



სკოლა მიმდინარე ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით რაიმე სახის არასავალდებულო მომსახურებას, რადგან ამის რესურსი არ აქვს.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უფასო ტრანსპორტირების სერვისს, რასაც კოორდინირებას უწევს ქედის რესურსცენტრი და აფინანსებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა მიმდინარე ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით რაიმე სახის არასავალდებულო მომსახურებას, რადგან ამის რესურსი არ აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და სკოლას ემსახურება ორი მარშრუტი, წარმოებს შესაბამისი ტაბელი, სადაც აისახება ყოველდღიური მარშრუტი, რაც უნდა გაითვალისწინოს მძღოლმა და დაიცვას მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების ნორმები. ტაბელი დამოწმებულია ხელმოწერებით სკოლისა და მძღოლის მხრიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტაბელი

შეფასება:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში აღწერილია:

- რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;
- სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;
- პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;
- პროცესში ჩართული მხარეები;
- კურიკულუმის შემუშავება/განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები;
- კავშირები სხვა პროცესებთან.

მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

საერთო ჯამში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია წარმოადგენს ზოგად გზამკვლევს და საჭიროა მეტად იყოს მორგებული სკოლის თავისებურებებზე.

2.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით.



პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.

2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ვიზიტის დრო, მასწავლებელთა ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს და ისინი ინფორმირებულნი არიან მის შესახებ. კერძოდ, მათ მიეწოდებათ უკუკავშირი და გამოკვეთილია თითოეულის პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარებისათვის იყენებენ მშობელთა კრებებს/შეხვედრებს, საიტზე ატვირთვას, ელექტრონული ჟურნალით გაზიარებას, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნას და სხვა.

2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს და ითვალისწინებს, თუ რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია საკმაოდ კარგი კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები. მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასწავლებლების რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზიის ამუშავებას.
---------------------------------------	--



საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ნათლად ჩანს მოსწავლეებზე, მათ შორის სსსმ მოსწავლეზე ორიენტირებულობა. რჩევა: სასურველია კურიკულუმებში იყოს ასახული საათების წლიური/სემესტრული/თემატური განაწილება. უმჯობესია, რომ კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი შაბლონი. გეოგრაფიის კურიკულუმებში მიეთითოს მოსწავლეთა რაოდენობები.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფას. კათედრის წევრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის უნარებს, ინტერესებსა და საჭიროებებს.
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გამავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში სტრუქტურული ერთეულები გამართულია, ჩანს სამიზნე ცნებებზე მორგებული ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი პროდუქტების იდეები და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. ეს ყველაფერი მიმართულია მოსწავლის სწავლების პროცესის დაგეგმვაზე. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებისათვის სკოლა სამივე საფეხურზე აქტიურად იყენებს დიაგნოსტიკური წერის სხვადასხვა ფორმას, ახორციელებენ პროექტებს.
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით



	წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს.
ტექნოლოგიები	II-VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების ოთხივე საგნის (მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების დანერგვა. ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწორადაა მოქმედი ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ყველა თემის შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი ყველა საქმიონე ცნება გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით.

2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სწავლის შედეგები და საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანეთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარსს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. მასწავლებლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკა, ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია, შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ამგვარად, შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნები და შუალედური მიზნების განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები.
უცხოური ენები	მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპებით.
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი კომპლექსური დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და ხელოვნებაში თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს



	უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში სამივე საფეხურზე ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. შუალედური მიზნების მისაღწევად აქტიურად გამოიყენება კომპლექსური ბუნების დავალებები, კათედრის მიერ ორგანიზებული სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები მწერლის სახლ-მუზეუმში, მხატვრული კითხვა, ლიტერატურული ღონისძიებები, მიმდღვნილი დედა ენისადმი, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღისადმი, ჩემი ბიბლიოთეკა, „წვიმა ჩემს სოფელში“ – მინიატურის შექმნა კუთხური მეტყველების გამოყენებით, რეკლამა საყვარელ პროდუქციაზე, ინტეგრირებული კომპლექსური დავალება ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში- „ბახტრიონის ეპოპეის ისტორიული რეალობა და მხატვრული ინტერპრეტაცია”
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნისმიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდე ბა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი, პროცესის ბოლოს ხდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული



	ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. ყველა კლასის კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით დავალებებს. ეს ყველაფერი მთლიანობაში ხელს უწყობს ესგ-თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ-ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. შედგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები.

2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსების გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც მეტ-ნაკლებად იძლევა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საშუალებას, თუმცა, დაგეგმილი აქტივობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსაც, რომელთა გამოყენებაც ლაბორატორიის რესურსებთან ერთად შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას. აგრეთვე, სკოლას აქვს კომპიუტერები და სათანადო ელექტრონული აღჭურვილობა. ამდენად, ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრების შედეგად პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმები შეივსება და დაიხვეწება ახალი სასწავლო წლის განმავლობაშიც.



	კურიკულუმებში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები. <i>რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მეტად იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახის რესურსები – აპლიკაციები (Google Earth; Map Maker), სქემები, სტატისტიკური მონაცემების ბაზები, ხელსაწყოები (კომპასი, თერმომეტრი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ჰიგრომეტრი, ფლიუგერი და ა.შ.), https://nationalgeographic.ge/ ქართულენოვანი ელექტრონული ჟურნალი.</i>
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები, ხელს უწყობს შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსს, მათ შორის ვიზიუალურსა და ციფრულს. კათედრის განკარგულებაშია საჭირო ტექნიკა, უცხოენოვანი ბიბლიოთეკა.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა.
სახელმწიფო ენა	საგანმანათლებლო რესურსები ყველა კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სავალდებულო საგანმანათლებლო რესურსების გარდა, აქტიურად იყენებენ სკოლაში არსებული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდს, ყველა კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია დამატებითი ელექტრონული რესურსები. პროექტებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს ახორციელებენ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროექტორის გამოყენებით.



მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცილებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიუმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები.
ტექნოლოგიები	ყველა კლასის კურიკულუმში გაწერილია საჭირო საგანმანათლებლო და დამატებითი რესურსი. ასევე, გათვლილია ისეთი დავალებები, რომლის შესრულების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/გადაწყვეტის მოძებნა, რაც ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ. <i>რჩევა: სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ. რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.</i>

2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება
--------------------------------	--



	გრძელვადიან მიზნებზე. შუალედური მიზნის მისაღებად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რას თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადსხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). შემუშავებული კურიკულუმებიდან და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, სწავლის სტილიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ კონკრეტული საჭიროების მოსწავლისათვის შესაბამისი, სათანადო აქტივობები და რესურსები. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისთვის, და სსსმ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ანალიზი, აგრეთვე მიღწევების დადასტურება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის ინკლუზიურობა დასტურდება წარმოდგენილი IX კლასის სსსმ მოსწავლის საგნობრივი ისგ; III, VII, IX, X-XI, XII სადამრიგებლო პროგრამებით, ანგარიშებით, ოქმებით; კათედრის სხდომის #2 ოქმით, სადაც აღნიშნულია მოსწავლეთა მომზადება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებისთვის, და კათედრის სხდომის #3 ოქმში განხილულია მიღწეული შედეგები.
უცხოური ენები	მასწავლებლები ქმნიან და მიმართავენ ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო გეგმებს და ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, კათედრაზე ხდება ამ დავალებების შეფასება და ანალიზი.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში.
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას ამჟამად ჰყავს სსსმ მოსწავლე მხოლოდ საბაზო საფეხურზე. შესაბამისად, კათედრა მასთან მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შემუშავებული მრავალფეროვანი



	აქტივობების გამოყენებით. დიფერენცირებული სწავლების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სადიაგნოსტიკო წერის სხვადასხვა ფორმას, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმას და სხვ.
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიუმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ ისინი თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თავისებურებები, განსხვავებული სწავლის სტილი. ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს სხვადასხვა დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგალითად, აძლევს მათ არჩევანის საშუალებას დავალების შესასრულებლად, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და მიღწეულ შედეგებზე.



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მესამე კლასის მოსწავლის ისე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მათ აქვთ შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით.
--------------------------------------	---

2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს სამივე საფეხურზე, წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესე განსაზღვრულ მიზნებს, შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი (SOLO ტაქსონომიის გამოყენებით) და განმსაზღვრელი შეფასების დოკუმენტაცია. რჩევა: სასურველია საგნობრივმა პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავონ და საზოგადოებრივი კათედრის სხდომაზე დაამტკიცონ მოსწავლეთა მიერ წარსადგენი შემოქმედებითი პროდუქტების – ესე-ს, მოხსენების, პრეზენტაციის, სტატიის, კომიქსის, პოსტერის, ბლოგის, ვლოგის, ვიდეო მიმართვის და ა.შ. შეფასების რუბრიკები.



უცხოური ენები	შეფასება მიმართულია მოსწავლის უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე. როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებთან. კათედრა რეგულარად აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი მოიცავს ფორმატიულ და შემაჯამებელ შეფასებებს, რაც ეხმარება მოსწავლეს პროგრესის გაცნობიერებაში და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. ამ მიმართულებით შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე.
სახელმწიფო ენა	კათედრა სწავლების პროცესს განახორციელებს სამივე საფეხურის მოსწავლეთათვის შექმნილი შეფასების სისტემის გამოყენებით, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. კათედრის სხდომის ოქმიდან ცხადი ხდება, რომ შეფასების სისტემას სკოლა სასწავლო წლის დასაწყისშივე ხელმისაწვდომს ხდის მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის. თითოეული აქტივობის განხორციელების წინ მოსწავლეები ეცნობიან მათი შეფასების კრიტერიუმებს და მხოლოდ შემდეგ იწყებენ კონკრეტული დავალების შესრულებას. კათედრა მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებს სოლოტაქსონომიის ფორმასაც.
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აკვირდებიან, სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლის განვითარების დინამიკას. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას.



	როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები.
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. ასევე, შემოქმედებითი დავალებები ფასდება ე.წ. სოლო ტაქსონომიით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. <i>რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.</i>

2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
- სასწავლო პროცესის შეფასება-თვითშეფასება;
- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკა;



- შეფასების რუბრიკები;
- სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაცია;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები;
- პროექტის გეგმები;
- მოსწ.ნამუშევრები;
- ფოტომასალა,
- საინფორმაციო პოსტერები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული პოსტერები;
- უცხოენოვანი ბიბლიოთეკა;
- სსსმ მოსწ. კომპლ. ადაპტირებული;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- სსსმ კომპლექსური ანალიზი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სამივე საფეხურზე სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, კომპლექსური დავალებების ანალიზიდან, ვერიფიკაციის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია აგრეთვე გაკვეთილის გეგმები და მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი პროდუქტები საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად არის განხორციელებული. <i>რჩევა: სასურველია, რომ „ჩვენი საქართველო“ 6 კლ. კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალება („ვარძია“) და მოსწავლის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალება („ისტორიული სამცხე-ჯავახეთი“ პოსტერი) ერთმანეთის იდენტური იყოს;</i> <i>VII და IX კლ. ისტორიის დიაგნოსტიკური წერები აისახოს საგნობრივ კურიკულუმში.</i>
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის სასწავლო საქმიანობა ეყრდნობა სასკოლო კურიკულუმს. დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. მუშაობის დაგეგმვისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის



	შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. მაგალითად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განიხილავენ მხატვრულ სტილებს, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს, ტაქნიკებს და ქმნიან ინდივიდუალურ ნამუშევრებს. მუსიკაში მოსწავლეები ეცნობიან მუსიკის გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს და მუზიციერებენ მღერითა და მათ მიერ შექმნილი მუსიკალური საკრავებით, მსჯელობენ მახასიათებლების როლზე ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში.
სახელმწიფო ენა	მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების შედეგების გათვალისწინებით კათედრა კურიკულუმის შესაბამისად წარმართავს საგაკვეთილო პროცესებს, პროექტებს, ინტეგრირებული გაკვეთილები. კურიკულუმთან შესაბამისობაშია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადიაგნოსტიკო წერითი აქტივობები, კომპლექსური ბუნების დავალები, ლიტერატურული ღონისძიებები.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია კომპლექსური, შემოქმედებითი ტიპის დავალები და რესურსები. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს მატრიცები სადაც ჩანს, რომ აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტრუქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ.



ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და აქვთ გამოცდილება წარმართონ სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. <i>რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა, სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.</i>

2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მიზანმიმართულად ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის გადანაწილების ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე. საგანგებო შემთხვევებში (მაგალითად, ტექნიკური შეფერხება, ქცევითი ინციდენტები ან დროებითი დისტანციური სწავლება), სკოლამ არაერთხელ აჩვენა ორგანიზაციული მოქნილობა და ოპერატიულობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა გამოირჩევა ადაპტაციისა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესისთვის. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკის დოკუმენტაცია, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი პედაგოგების მიერ წარმოდგენილია: • მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების ფოტომასალები – ისტორია 8კლ. „დარბაზობა - „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით“; გეოგრაფია 9კლ. „ლაგდეხის ნაკრძალი“; • მოსწავლეთა შეფასებები – კომპლექსური დავალების კრიტერიუმების მიხედვით მოხდა მოსწავლეთა შეფასება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. „კათედრის-ოქმი-N3-2024-2025-წელი #3“-ში პედაგოგები თანხმდებიან შემაჯამებელ დავალებაში განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენონ. • პედაგოგების თვითშეფასების (ისტორია 10 კლ.) და ურთიერთშეფასების დოკუმენტაცია (დირექციის და კოლეგის მხრიდან). რჩევა: სასურველია პედაგოგებმა დახვეწონ არსებული შეფასების რუბრიკები. აქტივობების (მოხსენება, პრეზენტაცა, სტატია, კომიქსი, პოსტერი) მიხედვით შექმნან შეფასების რუბრიკები შეფასების კრიტერიუმებით. ელექტრონული რესურსების გამოყენებით შექმნილი პროდუქტები უნდა შეფასდეს ისეთი კრიტერიუმებით, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი ამ ელექტრონული რესურსის გამოყენების მოთხოვნები. ესგ-ის გათვალისწინებით მოსწავლეთა შეფასება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენების მიხედვითაც ხდება. მაგ.: მოქალაქეობის 7კლ. „ტოლერანტობის“ საკითხთან დაკავშირებით სამმა მოსწავლემ მეტ-ნაკლებად განსხვავებული PPT პრეზენტაციები წარმოადგინა. სასურველია, რომ მოსწავლეთა მიერ PPT რესურსის მიზანშეწონილად გამოყენებაში მიიღონ შესაბამისი შეფასებაც. ვთქვათ, 10-ბალიანი



	<i>შეფასებიდან 2 ქულა დაიწეროს PPT შესაძლებლობების მრავალფეროვან გამოყენებაში (2 ქულა – PPT შესაძლებლობების კარგად გამოყენება; 1 ქულა – PPT შესაძლებლობების სუსტად გამოყენება).</i>
უცხოური ენები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრის წევრები აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას ვერიფიკაციის დოკუმენტის შესაბამისად.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც ესგ-თ არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმებს გამოყენებით.
სახელმწიფო ენა	სკოლაში სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა სასწავლო პროცესზეა მორგებული, ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემაა, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და შემდგომი პროცესების დაგეგმვას. ეს ყოველივე იკითხება სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში, კათედრის სამუშაო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. შეფასების სისტემას სკოლა სასწავლო წლის დასაწყისშივე ხელმისაწვდომს ხდის მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის.
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუქციები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
სპორტი	შეფასების სისტემა მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი.



	მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის.
ტექნოლოგიები	სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს. შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასახავს მოსწავლის განვითარების დინამიკას. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის უნარი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. <i>რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.</i>

2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლა სამივე საფეხურზე შეფასების პირველ მოდელს იყენებს. სამკომპონენტო შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოქმედ სტანდარტთან შესაბამისი რუბრიკების შექმნა და გამოყენება სასწავლო პროცესში. სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებდნენ 2024-



2025 სასწავლო წელს შეფასებისათვის და სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. დოკუმენტი წარმოდგენილია ცხრილის სახით და აღწერილია პროცედურები თითქმის ყველა საგნის ფარგლებში, რაც საინტერესო პრაქტიკაა. სკოლა ამჟამად მუშაობს ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საგნობრივი კათედრების წევრები კი აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.

2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
- სასწავლო პროცესის შეფასება-თვითშეფასება;
- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკა;



- სოლო ტექსტით შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაცია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;
- სკოლის ელექტრონული ჟურნალი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გარკვეული რესურსი. აქვთ ელექტრონული კომპონენტები, რეაქტივები, მულაჟები. ასევე საბუნებისმეტყველო კაბინეტში არის მოსწავლეთა მიერ დამზადებული პლაკატები სამივე საბუნებისმეტყველო საგნისთვის. მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსსაც, სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დავალებების შესრულებისას ხშირად იყენებენ საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტო და ვიდეომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებაზე მიუთითებს მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პროდუქტების დოკუმენტაცია და ფოტომასალა.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მაგალითები შედარებისთვის. უცხოური ენების კათედრის სარგებლობაშია აუდიო-ვიდეო აღჭურვილობა და ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია გაკვეთილის მიზნების მისაღწევად მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.



ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი. ძირითადი რესურსები მოიცავს ესგ-თან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებსა და პროგრამულ მასალებს, რომლებიც ემსახურება საგნობრივი მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნის ფორმირებას. დამხმარე რესურსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება აუდიო და ვიდეო მასალები, მხავრული ნამუშევრები, ვიზუალური რესურსები და საგანმანათლებლო აპლიკაციები. ასევე ჩართულია ხელოვნების ნიმუშების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა და ხელთნაკეთ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე პრაქტიკული მუშაობა, რაც ხელს უწყობს უნარების განვითარებას და შემოქმედებითი პროცესის გააზრებას.
სახელმწიფო ენა	სკოლა აქტიურად იყენებს სწავლების პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე, დამხმარე სახელმძღვანელოებს, სკოლაში არსებული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდსა და ელექტრონულ რესურსებს. ჯიპრაიდისა და დაწყებითი განათლების პროექტებში ჩართულობა კათედრას დაეხმარა, საკუთარი ხელით შეექმნა ორიგინალური გრაფიკული მათერიალები, პერსონაჟების წიგნები, ტაბულები, ცხრილები, პერსონაჟის დახასიათებისა და ასოციაციების რუკები და სხვა დამხმარე სასწავლო რესურსები.
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მათერიალური რესურსების გამოყენება.
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადასხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: Microsoft აპები, code.org, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ვიდეორგოლები და სხვა.



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.
--------------------------------------	---

2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათოდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათოდრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე ლიტერატურის და ელექტრონული რესურსების სია – ტელესკოლა, ვიდეო რესურსები, ელექტრონული სტატიები და ჟურნალები. <i>რჩევა: გეოგრაფიის დამხმარე ელექტრონულ რესურსად გამოიყენონ https://nationalgeographic.ge/ ქართულენოვანი სტატიები.</i>
უცხოური ენები	დამხმარე რესურსების შერჩევისას კათედრა მოქმედებს შეთანხმებულად. უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსების ისე შერჩევა, რომ ისინი შესაბამისი იყოს ესგ მიზნებისა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მიმართულებით გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს



	თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო მპროცესში.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე არსებული დამხმარე რესურსები სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. ინტეგრირებული გაკვეთილების მომზადებისას ითვალისწინებენ სხვა საგნის მასწავლებელთა მიერ შემოთავაზებულ დამხმარე სასწავლო რესურსებსაც. პროექტები: ჩემი ბიბლიოთეკა, „წვიმა ჩემს სოფელში“ – მინიატურის შექმნა კუთხური მეტყველების გამოყენებით, რეკლამა საყვარელ პროდუქციაზე, ინტეგრირებული კომპლექსური დავალება ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში- „ბახტრიონის ეპოპეის ისტორიული რეალობა და მხატვრული ინტერპრეტაცია“ კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებითაა განხორციელებული.
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.
ტექნოლოგიები	თვითშეფასების კითხვარში იკითხება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, მასწავლებელიც გვიდასტურებს, რომ კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსის შერჩევა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს.

2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები ყველა შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას (მაგ. პლაკატები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, მაგალითად, ტელესკოლის გაკვეთილები, სასწავლო ვიდეორგოლები, სიმულაციები).
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ფოტომასალით და გასაუბრებიდან დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა მოსწავლეთა მიერ საგნობრივი შედეგების მისაღწევად.
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. სივრცე ათვისებულია გონივრულად. მოსწავლეებს გააჩნიათ ძირითადი და აუცილებელი სასწავლო რესურსები. თვალსაჩინოაა გამოფენილი ფლემქარდები და საჭირო ინფორმაცია. შექმნილია უცხოური ენის კუთხე მოსწავლეთა ნამუშევრებით.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესის სრულყოფილი მიმდინარეობისთვის სკოლაში არსებული შესაბამისი რესურსები სრულად უზრუნველყოფს სწავლის საუკეთესო შედეგის მიღწევას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.



მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატერიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულუმში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კომპიუტერულ ლაბორატორიაში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი.

2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი და 1 სპეც. მასწავლებელი. სკოლაში მუშაობს 15 უფროსი, 7 წამყვანი, 3 უსტატუსო მასწავლებელი. სკოლის პერსონალი შერჩეულია კანონმდებლობისა და სკოლის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. ქვედა მახუნცეთის სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებიდან ყველას აქვს დადასტურებული კომპეტენცია და არის კვალიფიციური კადრი. სკოლას ჰყავს 1 სპეც. მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს დადასტურებული კომპეტენცია. სპეც/მასწავლებელთან გაფორმებულია პრაქტიკოსი სპეც. მასწავლებლის ხელშეკრულება.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლას აქვს ასევე დაწყებითი სკოლა (I-IV კლასები) ზედა მახუნცეთში. მოცემული სკოლის შენობა მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, სადაც ზამთარში რთულდება გადაადგილება. მოცემულ სკოლაში მომუშავე მასწავლებლებიდან 3 უსტატუსოა, 1 მასწავლებელი ასწავლის სპორტს და ჭადრაკს, მას აქვს ჭადრაკის

მასწავლებლის ტრენინგები გავლილი და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს, 1 მასწავლებელი დაწყებით საფეხურზე ასწავლის ქართულ ენას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას, ხოლო ერთი - მუსიკასა და ხელოვნებას. სამივე მასწავლებელთან გაფორმებულია დროებითი ხელშეკრულება შესაბამისი კადრის დასაქმებამდე. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლამ რამოდენიმე წლის წინ გამოაცხადა კონკურსი, თუმცა კადრი ვერ შეირჩა სკოლის ადგილმდებარეობის სირთულის გამო. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ზედა მახუნცეთის დაწყებით სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება. მიმდინარე წელს მხოლოდ 6 მოსწავლე სწავლობდა, აქედან 3 გადავიდა მე-5 კლასში და 2025-2026 სასწავლო წლიდან ეს მოსწავლეები სწავლას განაგრძობენ ქვედა მახუნცეთის სკოლაში. დარჩენილი სამი მოსწავლისათვის შეიქმნება კლასკომპლექტი და 2025 წლის სექტემბრამდე თუ არ მოიმატა მოსწავლეთა რაოდენობამ, მოხდება საათების შემცირება და უსტატოსო მასწავლებლებთან შეწყვეტავენ შრომით ხელშეკრულებებს. ამასთან, სამივე მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო 2025 წლის მასწავლებელთა კომპეტენციის დაასადასტურებელ გამოცდებზე. 2025-2026 სასწავლო წლის სექტემბრის დასაწყისში სკოლის დირექცია გეგმავს ვაკანსიების გამოცხადებას.

სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა 2026 წლის 18 ივლისი, ზედა მუხანცეთის დაწყებით სკოლაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსის სპორტში, დაყვებითი საფეხურის საგნობრივ ჯგუფში (I-IV), მუსიკასა და ხელოვნებაში უზრუნველყოფის მიზნით.

2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
---	--	---

☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--	--

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას წარმოადგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მასწავლებლები აპირებენ, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.

2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას



ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები განხორციელებული შემოქმედებითი დავალებელის რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გამოიკვლევენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ზოგადია და ესაჭიროება, მეტად მოერგოს სკოლის სპეციფიკას. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის მიზანს სამივე საფეხურზე წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართულნი არიან სკოლის დირექტორი, საგნობრივი კათედრები. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდაჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე. მასწავლებლები თავად ახორციელებენ, გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება ასახონ გაუმჯობესების გზები და ეხმარება პრობლემის გადაჭრაში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოვიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს - კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი.

გათვალისწინებულია შემდეგი შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები:

- კვლევა
- დაკვირვება
- ინტერვიუ
- SWOT ანალიზი

2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის ადმინისტრაცია თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება განხორციელოს მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას არაფორმალური განათლების ფარგლებშიც, განხორციელებულ პროექტებში მიღებული შედეგები და გავლენა კურიკულუმების განხორციელების ხარისხზე. განმავითარებელი შეფასების მონაცემები, როგორც მასწავლებლის საქმიანობის გაუმჯობესებისა და კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველი - მაგალითად, დაწყებითი კლასების კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის და კურიკულუმის შეფასების საშუალებას იძლევა; შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შედეგები.

2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- სასწავლო პროცესის შეფასება-თვითშეფასება;
- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკა;
- სსსმ მოსწავლის შედეგების კომპლექსური ანალიზი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

კურიკულუმის განვითარების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ზოგადი ტიპისაა, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას. ესენია მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე და ა.შ.

2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება და სხვა მუნიციპალიტეტში
- ერთ სვეტში შესაძლებელია

თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით) მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 30 ივლისი 2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ჯანაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ა. მუზ

ვ. გუდაძე

ეჩ

ი. მამუკაძე

ი. მამუკაძე

ქ. ლუცაძე

მ. მამუკაძე

